როცა ცომის ბირთვებს ცოტას შეასვენებენ, იღებენ ორ-ორ ბირთვს, სდებენ ერთმანეთის ახლო და სატყეპელით გააბრტყელებენ მოგრძო ლავაშებად. გაბრტყელებულ ლავაშებს მარჯვენა ხელის გულით შორი ბოლოდან თავისაკენ ახვევენ მილის მსგავსად, მარცხენა ხელით ამ დროს უჭირავთ ახლობელი ბოლო. ამ სწორი მილის შუა ადგილი უფრო მსხვილი გამოდის ვიდრე ბოლოები. ამნაირად შეხვეულ მილაკს იღებენ ორივე ხელით ბოლოებზე და თაბახზე დალაგების დროს უახლოვებენ ერთმანეთს ბოლოებით, რის გამოც მილაკი ღებულობს ნალის ფორმას (რკინის თაბახი წინასწარ გასუფთავებული და მსუბუქად ზეთწასმული უნდა იყოს). ამნაირად ნალურები ლავდება თაბახზე რიგ-რიგად. რიგებს შორის სტოვებენ 3—5 სანტიმეტრ მანძილს. თაბახის ზომის მიხედვით მის სიგანეზე ეწყობა 4—5 წყება ნალურა.

თაბახებს ნალურებით დგამენ საბოლოო საყენებლად ქანდარახზე. ყენების შემდეგ იწყებენ ღუმელში ჩასმას. ღუმელში შედგმის წინ ნალურებს უსვამენ კვერცხის ნაღღებს და მოაყრიან ცოტოდენ ხაშხაშს. ღუმელში შესმა წარმოებს თაბახებით. დამხმარე მუშა დგამს თაბახებს ნიჩაბზე და ოსტატი სდებს თაბახებს ღუმელში. ღუმელში ნალურები ცხვება ჩვეულებრივად 10 წუთის განმავლობაში, თაბახებს შუა ნალურებით იღებს ღუმელიდან ოსტატი ნიჩბით, რომლიდანაც თაბახებს ჩამოართმევს დამხმარე მუშა. რომ ხელები არ დაიწვას, მუშას უნდა ეცვას ხელგაჯები. გაბრილებული ნალურას წონა უნდა უდრიდეს 100 გრამს.

„მღუშკების“ გამოყვანა. როგორც წვრილი ბულკეტულის გამოყვანის დროს, აქაც ცომსახელი ყუთის სახურავზე ან გამოსაყვან მაგიდაზე ამოღებული ცომის მთელი მასიდან მოსჭრიან 1,5—2 კილოგრამ წონის ნაჭერს, რომელსაც დაამრგვალებენ ძეხვის მსგავსად 75—100 მილიმეტრის სისქეზე. ამ ძეხვს სწავებენ ხელით 110—115 გრამიან ნაკვეთებს (ზუსტი წონისათვის თითოეული ნაჭერი უნდა იწონოს), როდესაც დაგროვდება 12—15 ნაკვეთი შათ წაუტყებენ ცოტა გადამდნარ მარგარინს და დადებენ გროვავში. შემდეგ იღებენ ორ-ორ ნაჭერს და სატყეპელით აბრტყელებენ მოგრძო ლავაშებად.

გაბრტყელებული ლავაშები ეწყობა ერთი მეორეზე 12—15 ცალად და იღება განზე. შემდეგ თითოეულ ლავაშს მარჯვენა ხელის გულით ახვევენ მილის მსგავსად შორი ბოლოდან თავისაკენ, მარცხენა ხელით კი უჭირავთ ლავაშის ახლობელი ბოლო. მილაკი უნდა იყოს სწორი და თანაბარი. ამნაირად შეხვეული მილაკის ერთ ბოლოს იღებენ მარცხენა ხელით და გადაკეცავენ მას შუაზე.

მარჯვენა ხელით კი იღებენ დანას და სჭრიან შეხვეულ მილაკს გასწვრივ ისე, რომ ბოლოებთან დარჩეს გაუჭრელი 1-1,5 სანტიმეტრი. ამის შემდეგ იღებენ მას ორივე ხელით, გაშლიან და ალაგებენ რკინის თაბახზე (რკინის თაბახი წინასწარ გასუფთავებული და მსუბუქად ზეთწასმული უნდა იყოს). „პლუსებს“ აწყობენ თაბახზე რამოდენიმე წყებად. წყებებს შორის სტოვებენ 3—5 სანტ. მანძილს. თაბახის ზომის მიხედვით მის სიგრძეზე ეწყობა 4—5 წყება, დაახლოებით 20—25 ცალი თითოეულ წყებაში.

თაბახები „პლუსებით“ იდგმება ქანდარაზე საბოლოო საყენებლად, რის შემდეგაც მათ წაუსვამენ ადღევილ კვერცხს, დანარჩენი პროცესები მისი გამოცხობის დროს ისეთივეა, როგორც ნალურების გამოცხობისას. გაცივებული „პლუსის“ წონა უნდა იყოს 100 გრამი.

ჯიჯლიბოს გამოყვანა. ცომსაზელი ყუთის სახურავზე ან ცომის გამოსაყვან მაგიდაზე ამოდებულ ცომის მთელი მასიდან სჭრიან 1,5—2 კილოგრამიან ნაქერს, რომელსაც ამრგვალებენ ძეხვის მშავარად 75—100 მმ. სისქეზე, აქედან სწყვეტენ 110—115 გრამიან პატარა ნაჭრებს და მათ ზუსტ წონას ამოწმებენ სასწორზე აწონით. აწონის შემდეგ ნაჭრებს ამრგვალებენ ბირთვებად. ბირთვებს აძლევენ წინასწარ ყენებას (3—5 წუთით) და ამის შემდეგ იწყებენ მის გამოყვანას.

როდესაც მრგვალი ბირთვები ცოტაოდენ ყენებას გაივლიან, იღებენ ორ-ორ ბირთვს და სატყეპელით გააბრტყელებენ მათ მოგრძო ფორმის ლავაშებად. გაბრტყელებულ ლავაშებს წაუსვამენ ცოტაოდენ გადამდნარ მარგარინს. თითოეული ლავაში იკეცება ორად სიგრძის მიმართულებით და ზოლის ნაკეცზე ჩაეჭრება დანით კბილები. კბილის სიგრძე უნდა იყოს დაახლოებით: 1—1,2 სანტიმეტრი, განი კი 6 მილიმეტრი. დაკბილულ ზოლს იღებენ ორივე ხელით ბოლოებზე და ალაგებენ რკინის თაბახზე, რომლის დროსაც უახლოვებენ ბოლოებს ერთი მეორეს და აძლევენ მას ნახევარი ნალის ფორმას (რკინის თაბახები წინასწარ გაწმენდილი და მსუბუქად ზეთწასმული უნდა იყოს). ჯიჯლიბოები ეწყობა თაბახებზე წყებად. წყება წყებიდან დაცილებულია 3—5 სანტიმეტრით. თაბახის ზომის მიხედვით მის სიგანეზე ეწყობა 4—5 წყება.

თაბახებს ჯიჯლიბოებით დგამენ ქანდარაზე საბოლოო საყენებლად. ყენების შემდეგ აწყობენ ღუმელში. ღუმელში შედების წინ ჯიჯლიბოებს დაესხმება შედღვევილი კვერცხი და მოყურება ცოტაოდენი შაქრის ფხვნილი. დანარჩენი პროცესები ისეთივეა, რო-

გორც ნალურების გამოცხობის დროს. ცივი ჯიჯლიბო უნდა იწონი-
დეს 100 გრ.

ზედმოყრილი ხარისხების გამოყვანა. სანამ ზედმოყრილი ხა-
რისხების გამოყვანას შეუდგებოდენ, საჭიროა ფქვილოვანი ნაფხვენის
დამზადება.

ფქვილოვან ნაფხვენს ამზადებენ შემდეგი წესით: იღებენ იმ ხა-
რისხის ფქვილს, რომლიდანაც ცხვება თვით ნაწარმი. გამოყოფენ ნა-
წარმისათვის გათვალისწინებული ფქვილის რაოდენობიდან 8-10%-ს,
მიუმატებენ შიპარს ნაფხვენისათვის გამოყოფილი ფქვილის წონის
30%-ის რაოდენობით და გადამდნარ კარაქს ან მარგარინს, ყველა-
ფერს ამას კარგად აურევენ და გადააქცივენ ნაფხვენად. ცხიმს ან
მარგარინს იღებენ ისეთი რაოდენობით, რომ მიიღონ ადვილად ფხვნა-
ლი მასსა.

გამოყვანა: დასაყალიბებელ შავიდაზე ან ცომსაზელი ყუთის სა-
ხურავზე ამოღებული ცომის საერთო მასიდან სჭრიან 1,5—2 კილო-
იან ნაჭერს, რომელსაც ამრგვალეებენ ძეხვის მსგავსად სისქით 85—
100 მილიმ. ამ ძეხვიდან სჭრიან პატარა ნაჭრებს (110—115 გრამის
რაოდენობით) და თითოეულ ნაჭერს წონიან სასწორზე. აწონის
შემდეგ ნაჭრებს ამრგვალეებენ ბირთვებად და ცოტაოდენი გაბრ-
ტყელებით აწყობენ წყებად თაბახზე. წყებას წყებისაგან ამორებენ
3—5 სანტ. თაბახის ზომის მიხედვით მის სიგანეზე ეწყობა 4—5
წყება.

თაბახებს ზედმოყრილი ხარისხის ბულკით დგამენ ქანდარაზე
საბოლოო საყენებლად. ყენების შემდეგ იწყებენ ლუმელში შე-
დგმას. ლუმელში შეტანამდე საჭიროა ნაწარმისათვის ადღეგბილი
კვერცხის წასმა და ნაფხვენის მოყრა. დანარჩენი პროცესები ლუმე-
ლში ჩასმისა და გამოღების დროს ისეთივეა, როგორც ბულკეული
წვრილმანის სხვა ხარისხების გამოცხობის დროს.—



ი ნ ს ტ რ უ შ ც ი ბ

ფრანგული ბულკის მომზადების შესახებ.

ფრანგული ბულკის მომზადება შეიძლება უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ფქვილიდან, წონით 100 და 200 გრამი.

მათი მომზადების ტექნოლოგიური პროცესი, გამოყვანის და გამოცხობის წესები, ანალოგიურია.

განსხვავებას შეიცავს მხოლოდ დამხმარე ნედლეულის (შაქარი კარაქი) შეტანის რეკვზტურა.

ცომი ფრანგული ბულკისათვის მზადდება ხაშით. ცომის კონსისტენცია საშუალოა.

ცომის კარგად გამოსაყვანად და ასაფუვებლად აუცილებელია მისი ორჯერ გატიკნა (დაგუნდაეება) პირველი გატიკნა ყველაზე უკეთესია ჩივატაროთ მოზღელიდან ერთი საათის შემდეგ, ხოლო მეორე 15—20 წუთით ადრე მუშაობის დაწყებამდე.

მაგალითისათვის მოვიყვანთ ფრანგული ბულკის დამზადებას პირველი ხარისხის ფქვილიდან.

1. საერთო რეცეპტურა	უმალ. ხარისხ.	პირველი ხარისხ.	მეორე ხარისხ.
ხორბლ. ფქვ.	100 კგრ.	100 კგრ.	100 კგრ.
საფუარი	1.0 "	1.0 "	1.0 "
მარილი	1.5 "	1.5 "	1.5 "
შაქარი	6.0 "	5.0 "	3.0 "
მარგარინი	2.5 "	2.5 "	—
საჭმ. ზეთი	0.15 "	0.15 "	0.15 "
სულ ნედლეული	111.15 კგრ.	110.15 კგრ.	105.65 კგრ.
მზა ნაწარმის გამოსავალი წონის მიხედვით	125—128	126—129	126—129



- შენიშვნა:** 1. საკმელი ზეთი 0,15%-ის რაოდენობით იზმარება საზელი ყუთის წასაცხებად ცომის მოზეღის დროს.
2. დამზარე მასალა (შაქარი, კარაქი, მარილი) შეაქვთ მზა ხაშში ცომის მოზეღის დროს.

ა) ხაშის მომზადება 100 კგრ. ფქვილიდან ბუღკის გამოსაცხობად.

- ფქვალი 50 კგრ.
 წყალი 35—38 ლიტრი
 საფუარი 1.0 კგრ.
 ხაშის პირვანდ. ტემპ. 28—29° ც.
 ფუვილის ხანგრძლივობა . . . 3-3,5 საათი.

ბ) ცომის მომზადება.

- ფქვილი 48 კგრ.
 წყალი 17—20 ლიტრი
 მარილი 1,5 კგრ.
 შაქარი 6,0 კგრ. (პირველი ხარისხის ფქვილიდან დამზადებული ბუღკებისათვის).
 მარგარინი 2,5 კგრ. (პირველი და უმაღლესი ხარისხის ფქვილიდან დამზადებული ბუღკებისათვის).
 ცომის პირვანდ. ტემპ. 29—30° ც.
 ფუვილის ხანგრძლივობა . . . 1,5—2 საათი

- შენიშვნა:** 1. წყალის რაოდენობა დაზუსტებული უნდა იქნას ფქვილის წყალმშთანთქმელი უნარიანობის მიხედვით.
2. დარჩენილი ფქვილი 2 კგრ. რაოდენობით იზმარება მოსაყრელად ცომის გამოყვანის დროს.
3. შაქარსა და მარგარინს ღებულობენ იმ რაოდენობით, როგორც ის შეეფარდება რეცეპტურის მიხედვით სხვადასხვა ხარისხის ფქვილს.



ფრანგული ბულკების გამოყვანის დროს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ოპერაციას წარმოადგენს: 1) ცომის ნაჭრების დამრგვალება და 2) მათი გაშლა და ფიცრებზე დაწყობა.

არა სწორად წარმოებული დამრგვალება და „გაშლა“ გავლენას ახდენს ფრანგული ბულკის გარეგნულ შეხედულებაზე და ხარისხზე, ამიტომ მათი გამოყვანის დროს ამ ოპერაციებს მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

მათა ცომის ამოიღებენ ცომსაზელ ყუთიდან მისი სახურავის ერთ ბოლოზე ან ცომის გამოსაყვან მაგიდაზე, სადაც დატოვებენ 3—5 წუთით, რის შემდეგაც იწყება მისი გამოყვანა.

სახურავის ან მაგიდის ერთ ბოლოზე (მარჯვნივ) იდგმება სასწორი ცომის ნაჭრების ასაწონად.

ხელქვეითი მომუშავე, რომელიც სასწორთან დგას, ფართო საბულკე დანით სჭრის ცომის საერთო „ჩაღლაჯიდან“ მოგრძო ზოლს და ამრგვალებს მას ძხვის მსგავსათ დიამეტრით დაახლოვებით 10 სანტიმეტრამდე, რის შემდეგაც წყვეტს მისი ბოლოდან საჭირო ზომის ნაჭერს და წონის მას (ას გრამიან ბულკისათვის იღებენ ცომის 112—118 გრამიან ნაჭერს, 200 გრამიან ბულკისათვის 220—225 გრამს).

ასაწონ ნაჭრებს აგუნდავებენ მრგვალი ბირთვის სახით (დაგუნდავება წარმოებს ორი ხელით და უნდა იყოს თანაბარი) და აწყობენ რიგში ყუთის სახურავზე ან გამოსაყვან მაგიდაზე განდავან. როდესაც მოგროვდება 40—50 დამრგვალებული ცომის ნაჭერი მას აყენებენ 3—5 წუთით, რის შემდეგაც იწყება მათი „გაშლა“.

ცომის გაშლა წარმოებს შემდეგნაირად: დაგუნდავებულ ცომის ნაჭერს აიღებენ ერთ ნაწიბურიდან და მაგიდაზე მაგრათ დარტყმით (ერთი-ორჯერ) გააბრტყელებენ მოგრძო სქელი ბლინის ფორმამდე. ამ ბლინის უახლოეს ბოლოს (დაახლოვებით მის ერთ მესამედ ნაწილს) გადაკეცავენ შუაგულისაკენ და ჩატისნავენ მას ხელის გულით. შემდეგ გადმოკეცავენ ბლინის მეორე ბოლოს და აგრეთვე ჩატისნავენ მას ხელის გულით. ამის შემდეგ შეკეცილ ბლინს ამრგვალებენ.

ბულკის ბოლოების დამრგვალების დროს საჭიროა ორივე ხელით თანაბრად დაწოლა, რომ ბულკმა სწორი ფორმა მიიღოს.

გამოყვანილი (გაშლილი) ბულკები ლაგდება ფიცარზე წიბურით ზევით. ფიცარი წინასწარ გადაფარებული უნდა იყოს ხელსახოცით.



კომის ნაპრები რომ ერთმანეთს არ შეერთვას, ნაპრების შუაში ამობურთავენ ხელსახოცის ნაკეცს. ფიცრები კომის გამოყვანილი ნაპრებით იდგმება ქანდარაზე საბოლოო საყენებლად. ყენება გრძელდება 15—25 წუთი, იმის და მიხედვით, თუ როგორია სადგომის ტემპერატურა, რა კონსისტენციისაა კომი და რამდენად მწიფეა იგი, როგორია საფუარის ხარისხი და ა. შ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფრანგული ბულკი ძლიერ მგრძნობიარეა ორქოლი ქარისადმი, ამიტომ საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ სადგომში, სადაც წარმოებს მისი ყენება, ორქოლი ქარი არ უბერავდეს.

გ ა მ ო ც ხ ო ბ ა .

ფიცრები კომის გამოყვანილი ნაპრებით, რომლებმაც გაიარეს საკმაო ყენება (სვენება), დამხმარე მუშას ჩამოაქვს ქანდარიდან და დგამს ღუმელთან, ოსტატი იღებს ფიცრიდან ბულკს, აბრუნებს მას წიბურით ძირს და ალაგებს ნიჩაბზე. ოსტატს უნდა ქონდეს ორი ნიჩაბი გრძელი და მოკლე, გრძელი ნიჩაბის ზომა: სიგანე 12-15 სანტიმეტრი, ხოლო სიგრძე 0.5—0.75 მეტრით უფრო გრძელი, ვიდრე ღუმელის ქვედი.

ერთმანეთზე მიწებების თავიდან ასაცილებლად, ბულკი ღუმელში შედების დროს ლაგდება ნიჩაბზე 1—1,5 სანტ. დაშორებით. როდესაც ნიჩაბზე დალაგდება ბულკების საკმაო რაოდენობა, ოსტატი ჩასერავს თვითთულ ბულკს ზედაპირზე მის გასწვრივ სპეციალური სასერი დანით, რომელიც მას უჭირავს რამოდენიმედ დახრით.

ნასერი უნდა იყოს თანაბარი და არ იყოს ღრმა ბულკის შუაგულზე. ამაზე დამოკიდებულია ფრანგული ბულკის თხემის სილამაზე. იმისათვის, რომ ბულკი არ ჩავარდეს, ჩასერვის დროს დანა მსუბუქად უნდა დააწვეს მას. შემდეგ ოსტატი ორივე ხელით იღებს ნიჩაბს, სწრაფი მოძრაობით შეაქვს ის ღუმელში, მარჯვენა ხელს გადაიტანს ნიჩაბის ტარზე, ცოტაოდენ დახრის მას და სწრაფად სვამს ბულკებს ღუმელის ქვედზე.

ფრანგული ბულკის გამოცხოვა წარმოებს ორთქლიან ღუმელში, რისთვისაც ოსტატს ბულკების შედების წინ და შემდეგ გამოცხოვის დროს პერიოდულად შეყავს ღუმელში წყალი (წყალი შეყავთ ღუმელში ფორმაზე დასხმით, რომელიც იდგმება ღუმელში მარცხენა მხარეს).

გამოცხობა წარმოებს ღუმელის 240—250° ც. ტემპერატურაზე და გრძელდება 15—20 წუთი.

გამოცხობის დროს სასულეები მაგრად და დახურული. ღუმელში ორთქლის უფრო კარგად შესანახავად, რომლისაგანაც დამოკიდებულა ბულკის კარგი თხემის გამოსვლა, ღუმელის ზედა კარები ბულკების შესმის დროს დახურულია.

მზა ბულკები გამოაქეთ ღუმელიდან იმავე ნიჩბით.

ოსტატს გამოაქვს ღუმელიდან რამდენიმე ბულკი, რაც კი ნიჩბზე დაეტევა და ხელით ყრის იქვე მდგომ კალათში. შემდეგ ბულკებს აწყობენ ყუთში ან ხონჩაზე.

ყუთებში ბულკებს აწყობენ ცერზე ერთი მეორეზე არა უმეტეს ორი წყებისა, ხონჩაზე კი ერთ წყებად.

გამომცხვარი ბულკი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ზედაპირი—სწორი, გაუბზარი და უნახლეჩო, ნასერი თანაბარი ერთი ბოლოდან მეორემდე, თხემი წვრილი და ამოხნეკილი.

კანი—სისქით ორ მილიმეტრამდე.

კანის ფერი—ღია მიხაკისფერი, პეწიანი, ულაქებო, უმჭრთალო და დაუმწვარი.

ფორმა—სწორი, მოგრძო-ოვალური, ჩაუჭყლეტავი.

ტენიანება—არა უმეტეს 42⁰/₁₀₀-სა.

ხიმუავე—1,5—დან—2,5-მდე.

ფორფენ მზა—არა ნაკლები 72⁰/₁₀₀-სა.



ინსტრუქცია ორცხობილას მომზადების შესახებ.

რეცეპტურის მიხედვით ორცხობილა განიარჩევა: უბრალო, კავიანი, ქალაქური, შაქრიანი, ვანილიანი და სხვ.

1. **ცომის მომზადება.** ცომის მომზადების წესი ყველა ხარისხის ორცხობილასათვის ერთი და იგივეა. ცომი იდგმება ხაშზე და ფუვილის დროს ხაშს ორჯერ ურევენ. ხაშის და ცომის დადგმის ტემპერატურა უდრის 28—30°, ფუვილის ხანგრძლივობა უდრის 3—4 საათს, ხოლო ცომის ფუვილის—1,5 საათს. ცომი იზილება მზა ხაშზე. „საკაზმს“ უშერებიან ცომს პირველი გატიკნის შემდეგ ან თვით გატიკნის დროს. ხოლო შოხელის დროს მისი ცომში შეტანა არ ვარგა, ვინაიდან ცომის ფუვილის დროს შაქრის უმეტესობა შეიძლება გაიხარჯოს ფუვილზე და სუსტად გამოიხატოს ორცხობილას გემოზე. ცომის 1 საათის ფუვილის შემდეგ იგი გაიტკინება და მას უშვრებიან საკაზმს. 25—30 წუთის (ცომის სრული ამოსვლის) შემდეგ იგი გამოყავთ.

2. **დაყალიბება (გამოყვანა).** დასაყალიბებელ მაგიდაზე ან ცომსაზელი ყუთის სახურავეზე ამოღებული ცომის მთელი მასიდან იღებენ 1 კილო ცომს, დაამრგვალებენ გრძლად, მოსწყვეტენ პატარ-პატარა ნაჭრებს და დაამრგვალებენ ძეხვისებურად.

ამ ძეხვებს სწყვეტენ შუაზე და თითოეული ნახევრიდან გამოყავთ ცალკე ძეხვი. მათი ზომა დიამეტრში 1—1,5 სანტიმ., ხოლო სიგრძე დამოკიდებულია გამოსაყვანი ორცხობილას სიგრძეზე.

ორ ძეხვს აწყობენ თაბახზე, ცოტაოდენ უბრტყელებენ ბოლოებს, შემდეგ მის გვერდით აწყობენ მეორე წყვილს და ასე ბოლომდე, სანამ თაბახი შეივსებოდეს მთელ სიგრძეზე. წყება წყებიდან დაშორებულია 2—3 სანტიმეტრით. როდესაც ერთი წყება დალაგდ-



ბა, ძეხვების ბოლოებს გაასწორებენ და შემდეგ აძლევენ საჭირო ფორმას. დაწყობილ და გასწორებულ ძეხვების წყებას ეწოდება ფილა.

ფილას სიგრძე დამოკიდებულია თაბახის სიგრძეზე, სიფარდოვე და სისქე—ორცხოზილას ხარისხზე.

ხილის და საბავშვო ორცხოზილასათვის ფილას არ აკეთებენ; ამისათვის მზადდება გრძელი ცომის ზოლი თაბახის სიგრძის თანასწორი და დიამეტრით, რომელიც შეეფერება ორცხოზილას აღებული ხარისხის კრილს.

3. **ყენება.** თაბახებს ფილებით ან ცომის ზოლებით დგამენ ქანდარაზე საყენებლად. ყენება გრძელდება დაახლოებით 20—30 წუთი სადგომის ტემპერატურისა და ცომის სიმწიფის მიხედვით.

4. **გამოცხობა.** ყენების შემდეგ ყველა ხარისხის ორცხოზილას ფილებსა და ზოლებს უსვამენ ადღებებელ კვერცხს და დგამენ ღუმელში.

ფილების წასასმელად საჭიროა დაახლოებით 50 კვერცხი 100 კილოგრამ ფქვილზე. ღუმელში შეტანა წარმოებს თაბახებზე დამზარე მუშა სდებს თაბახს ნიჩაბზე და ოსტატი დაუყონებლივ სვამს მას ღუმელში.

გამოცხობა, ფილას ან ზოლის სისქის და საკაზმის მიხედვით, წარმოებს სხვადასხვა ტემპერატურაზე 20—30 წუთი.

თაბახები მზა ფილებით გამოაქვთ ღუმელიდან ნიჩბებით, რომლიდანაც თაბახს იღებს დამზარე მუშა. რომ ხელები არ დაიწვას, მუშამ უნდა ჩაიცვას ხელგაჯი.

5. **გაცივება.** გამოცხობის შემდეგ ფილებს ან ზოლებს იღებენ თაბახიდან და ალაგებენ ფიცრებზე ქვედა მხარით ზევით და სტოვებენ გასაცივებლად და გასაშრობად. გაცივება გრძელდება 24 საათი.

6. **დაჭრა.** როდესაც ფილა გაცივდება და გაშრება მას სტრიან ცალკე ნაჭრებად. ნაჭერის ზომა დამოკიდებულია ორცხოზილას ხარისხზე. ორცხოზილას ზოგიერთი ხარისხისათვის (შაქრიანი, სლავური, ნუშიანი და სხვ. ზედმოყრილი) ნაჭერს დამატებით უსვამენ ადღე-ბილ კვერცხის ცილას და მოაყრიან ზედ ნუშს ან შაქარს, ან შაქრი-სა და დარიჩინის ან ნუშის ნარეგს.



ორცხოზი- ლას წარის- ნი	ერთი ორცხოზილ. დაახლ. ზომა მილიმეტრებში			ერთი ორ- ცხოზ. წონა გრამებში	დამატებითი დამუშავება
	სიგანე (სისქე)	სიგრძე	სიმაღლე		
ყვიანი	20—25	95—100	35—40	20	არა აქვს
ქალაქური	18—32	105—110	32—38	20	
ნაღებიანი	15—20	115—120	40—45	20	
ვანილიანი	10—15	90—95	28—32	10	გვერდებზე უსვა- მენ აღდგებილ კვერცხს და მოაყ- რიან ნუშს
ნუშიანი	18—22	90—95	35—40	20	
შაქრიანი	20—24	35—40	85—90	20	
სლაფური	15—18	35—40	100—105	18	გვერდებზე უსვა- მენ აღდგებილ კვერცხს და მოაყ- რიან შაქარს

მასალის დაახლოვებითი გასავალი ორცხოზილას დამატებითს
დამუშავებასა და მოყრაზე (100 კლგ. ფქვილზე)

ნედლეული	ნუშიანი	შაქრიანი	სლაფური
შაქარი კლგ.	—	30	30
ნუში	25	—	—
კვერცხი ცალობით	50	50	50

7. გაშრობა. დაჭრილი, წაცხებული და ზედმოყრილი ორცხო-
ბილა ლაგდება სიბრტყით და იდგმება ლუშელში გასაშრობად. გაშ-
რობა წარმოებს ლუშელიდან პურის ან პურის ნაწარმის გამოღების
შემდეგ. გაშრობის დრო განისაზღვრება ორცხოზილას სისქისა და
საკაჟმის მიხედვით, სხვადასხვა ტემპერატურაზე 15—30 წუთით, იმ
ანგარიშით, რომ ტეხილში ორცხოზილას ქონდეს მოწითალო-მოში-
ხაკისფრო ფერი.

8. შეფუთვა. გაშრობის შემდეგ ორცხოზილა იფუთება ყუთებ-
ში, რომელსაც შიგნიდან გამოფენილი უნდა ქონდეს სუფთა ქა-
ღალდი.

ნედლეული	ყავიანი			ქალაქური			ნაღვრიანი		
	ბაში	ცომი	სულ	ბაში	ცომი	სულ	ბაში	ცომი	სულ
ფქვილი I ხარ.	55	44	99	55	44	99	55	44	99
წყალი ლიტრებში	40	10	50	40	10	50	40	10	50
საფუარი	1	—	1	1	—	1	1	—	1
მარილი კლგ.	—	1,2	1,2	—	1,2	1,2	—	1,2	1,2
შაქარი კლგ.	—	13	13	—	13	13	—	13	13
კარაქი	—	5	5	—	5	5	—	5	5
საქმელი ზეთი	—	—	0,5x)	—	—	0,5x)	—	—	0,5x)
ვანილინი	—	—	—	—	—	—	—	—	—
კვერცი ც/კვრ. ფი- ლების წასასმ. დასამუშ.	—	—	50/2x)	—	—	50/2x)	—	—	50/2x)
მარგარინი	—	—	—	—	—	—	—	—	—
ნუში	—	—	—	—	—	—	—	—	—
ხაშხაში	—	—	—	—	—	—	—	—	—
სულ ნედლეული	—	—	122,7	—	—	122,7	—	—	122,7
მზა ნაწარმის გამოსაც.	—	—	—	—	—	—	—	—	—

- შენიშვნა: 1. ორცხოვნილი ნუშიანი და სლაფური მზადდება უმაღლ.
2. *) საქმელი ზეთი იხმარება თაბახების წასასმელად.
3. *) 50 კვერცი მიღის დამატებით დამუშავებაზე შაქ ბილაზე) დანარჩენი კვერცი კი ხმარდება ფილების
4. *) 1 კილოგრამი ფქვილი იხმარება დამუშავებაზე შა
5. *) 10 კილოგრ. ნუში მიღის მოსაყრელად.
- საფუარის რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს მისი ხარისხის

ხარკუმის ნორმები

ვალილიანი			ნუშიანი			შაქრიანი			სლავური		
ხაში	ცომი	სუქი	ხაში	ცომი	სუქი	ხაში	ცომი	სუქი	ხაში	ცომი	სუქი
55	44	99	55	44	99	55	44	99	55	44	99
40	10	55	40	10	50	40	10	50	40	10	50
2	—	2	2	—	2	2	—	1	2	—	2
—	1,2	1,2	—	1	1	—	1,2	1,2	—	1	1
—	20	20	—	15	15	—	30x10	30x10	—	30x25	30x25
—	10	10	—	12	12	—	3	3	—	12	12
—	—	0,5x)	—	—	0,5x)	—	—	0,5x)	—	—	0,5
—	0,05	0,05	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	50x50	100	—	50x70	120	—	50x50	100	—	50x50	50x50
—	—	—	—	—	—	—	2	2	—	—	—
—	—	—	—	—	10x)	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
—	—	137,5	—	—	145,8	—	—	—	—	—	—
—	—	—	—	—	—	—	—	161,7	—	—	174,5

ხარ. ხორბლის ფქვილიდან, დანარჩენი კი I-ხარ. (72%) ფქვილიდან.

რის ან ნუშის მოყრის დროს (ნუშიან, შაქრიან და სლავურ ორცხო-წაცხებას.

ქარი კი 30 კგრ.

მიხედვით.



ი ნ ს ტ რ უ მ ც ი ა

ბლითუნას და ნახმის მომზადების შესახებ (უბრალო შაქრიანი და ნაზუქი).

ბლითუნისა და ნახმისათვის ცომი მზადდება „პრიტვიორზე“. ბლითუნისათვის ცომში ურევენ ორჯერ უფრო მეტ „პრიტვიორს“, ვიდრე ნახმისათვის, ბლითუნა ზომით ნახმზე დიდია.

1. „პრიტვიორის“ მომზადება. „პრიტვიორი“ ეწოდება განახლებულ საღურას. 100 კილოგრ. ფქვილიდან უბრალო ბლითუნას გამოსაცხობად იღებენ 5—6 კილოგრამ ქველ „პრიტვიორს“ (ან ძველ ცომს), მიუმატებენ 7 ლიტრა წყალს, 7 კილოგრამ ფქვილს და 250 გრამ დაწნეხილ საფურას. აზელვის შემდეგ „პრიტვიორი“ იდგმება გასაფუფევლად. აზელილი „პრიტვიორის“ ტემპერატურა უნდა იყოს 26—28°. მისი ფუვილი გრძელდება 6—8 საათი.

ფუვილის დამთავრების შემდეგ „პრიტვიორი“ მზადაა და მისგან იღებენ ცომის მოსამზადებლად საჭირო რაოდენობას. „პრიტვიორის“ გასაახლებლად სტრევენ 5—6 კილოგრამს. მისი მომზადების მეთოდი დამოკიდებულია ბლითუნას და ნახმის ხარისხზე (იხ. ქვევით—ცომის მომზადება).

2. ცომის მომზადება. ბლითუნას და ნახმის ყველა ხარისხისათვის ცომის მომზადების მეთოდი ერთი და იგივეა.

	უბრალო ბლითუნა (72%/ანი გამოავლინ) პირველი ხარისხის ფქვილ.	წმინდა ნახმი (72%/ა გამოავლინ) პირველი ხარისხის ფქვილ.	ნახუქი ბლითუნა (30%/ანი გამოავლინ) უმაღლესი ხარისხის ფქვილ.	შაქრიანი ბლითუნა (72%/ანი გამოავლინ) პირველი ხარისხ. ფქვილ.
ფქვილი კილოგრ.	100	100	100	100
წყალი ლიტრებში	30—35	30—35	30—35	30—35
შაქარი კილოგრამებში	1	1	8	15
მარილი	15	15	15	1
დაწნეხილი საფურარი	0.25	0.25	0.25	0.25
ბადაგი	—	—	1.0	—
მარგარინი	—	—	—	3
კარაქი	—	—	1	—
საუმეღლი ხეთი	0.15	0.15	8.15	0.15
„პრიტვიორი“ კილოგრამებში	10—15	5—6	8—10	8—10

უბრალო ბლითუნა ცხვება უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ფქვილიდან.

ვინაიდან ცომი ძალიან სქლად იზილება, ამისათვის ცომის მომზადების მთელი პროცესი აუცილებელია დაიყოს რამდენიმე სტადიად.

მოზედა. ფქვილის მთელი რაოდენობა ჩაიყრება ყუთში. ყუთში ჩაყრილ ფქვილს ამოადრმავებენ და ჩაასხამენ წყალს (30—35 ლიტრს), რომელშიც წინასწარ არეულია ხაში (პრიტვიორი).

იწყებენ ზელას, მაგრამ რადგანაც წყალი ცოტაა, მთლიანად მოზელა შეუძლებელია. ვდებულობთ ცომის ცალკე ნაჭერებს, რომელსაც ახლავს აუზღლეელი ფქვილი.

ცომის პირველი გატისნვა. იღებენ ცომის რამდენიმე ნაჭერს და ცომსაზელი ყუთის სახურავზე აწარმოებენ მის დაზღლევას ხელის გულებით მანამდე, სანამ ცომი არ გაზღდება ერთნაირი.

როდესაც ერთ ნაჭერს გატისნავენ, იღებენ მეორეს და ასე შემდეგ. სანამ მთელი ცომი არ იქნება დამუშავებული.

ცომის მეორე გატისნვა. პირველი გატისნვის შემდეგ ცომს ხელმეორედ იღებენ ნაჭრობით და კიდევ სრესავენ მას ხელის გულებით და შუშტებით.

გატისნვა წარმოებს ნაწილ-ნაწილ, სანამ არ გატისნავენ მთელს ცომს.

სრესვა. სრესვას აწარმოებენ სპეციალურ სასრესელ მაგიდაზე განსაკუთრებული ხელსაწყოს და სასრესელის გამოყენებით და ცომის გატისნულ ნაჭერს სრესავენ სასრესელით იმდენხანს, სანამ მთლიანად არ გაქრება ფქვილის ნაკვალევი.

ცომის სრესვა წარმოებს ნაწილ-ნაწილად და ცომის ერთი ნაჭერი ემატება მეორეს. სრესვის შემდეგ ცომი იღება გამოსაშუშებლად. გამოშუშების ხანგრძლიეობა 30—40 წუთია. გამოშუშების დროს ცომს აფარებენ სველ გამოწურულ ტილოს. ცომის ხელით დამუშავება მოითხოვს დაახლოეებით შემდეგ დროს: 1. მოზელა და პირველი და მეორე გატისნვა 30—40 წუთს; 2. სრესვა 1 საათსა და 20 წუთს; 3. გამოშუშება 30—40 წუთს.

3. ცომის დამრგვალება. როდესაც ცომი უკვე მზადაა, მას მოაცლიან „ჩალადაჯს“ წონით 10 კილოგრამს და გააბრტყელებენ მას ლავაშიეთ. ლავაშის სისქე 5—7 სანტიმეტრია, ლავაში იჭრება 7—8 სანტიმეტრის სიგანის ზოლებად. შემდეგ აიღებენ ზოლს და



მარჯვენა ხელით ამრგვალევენ მას, როგორც ძეხვს, ამავ დროს მარცხენა ხელით წელავენ და აგრძელებენ. როდესაც პირველი ზოლი უკვე დამრგვალებულია მას უმატებენ მეორე დამრგვალებულ ძეხვს, შემდეგ მესამეს და ასე მანამდე, სანამ ცომის მთელი ლავაში დამრგვალებული არ იქნება.

ასეთი ძეხვა სიგრძით დაახლოვებით 15—20 მეტრი იხვევა სპირალურად. დამრგვალების შემდეგ იღებენ ძეხვის ბოლოს და ხელახლა ამრგვალებენ ისე, რომ მისი დიამეტრი შემცირდეს ორჯერ და მიიღოს ისეთი სისქე, რომელიც შეეფერება ბლითუნას ან ნახმის ხარისხს.

მეორეჯერ დამრგვალებული ძეხვის სიგრძე უდრის 30-35 მეტრს. თუ საჭიროა 0,75—1 სანტიმეტ. დიამეტრის ძეხვის მიღება, მისი დამრგვალება წარმოებს სამ ჯერად. დამრგვალების შემდეგ ძეხვის ხვეულა უნდა გამოშუშდეს. გამოშუშება გრძელდება 10-20 წუთი. გამოშუშების დროს ცომს აფარებენ სველ გამოწურულ ტილოს.

4. დაყალიბება. გამოშუშების შემდეგ იღებენ ძეხვი-ხვეულას ბოლოს, ჩასკიდებენ მას მარჯვენა ხელის ცერსა და საჩვენებელ თითს, შემოივლებენ მას დანარჩენი ოთხი ან 2—3 თითის ირგვლივ (იმის მიხედვით თუ როგორი უნდა იყოს გამოსაცხობი ბლითუნას ან ნახმის დიამეტრი) და რგოლს მოსწყვეტენ.

წრის ორივე ბოლოს შეამკიდროვებენ, ცოტას დაამრგვალებენ და მზა ბლითუნა დაიდება ფიცარზე სწორი რკალის ფორმის მიცემით.

ყენება. ყენება წარმოებს ფიცრებზე, ქანდარაზე. ყენება გრძელდება სულ 10—15 წუთი.

დამღულვრა. ყენების შემდეგ ბლითუნა ან ნახმი იმდულვრება ბადაგით გაზავებულ მარილიან მღულარეში. ბადაგი ენატება შხოლრდ ბლითუნას იმ ხარისხებისათვის, რომლებსათვისაც იგი გათვალისწინებულია რეცეპტურით. ბლითუნას დამღულვრა გრძელდება 5 წუთი. ხოლო ნახმის 1—2 წუთი (სანამ არ ამოტივტივდებიან ზეთით).

გაშრობა. დამღულვრის შემდეგ ბლითუნას და ნახმს, იმის მიხედვით, როგორც კი ისინი ამოტივტივდებიან, იღებენ მავთულით შემობანდულ ჩამჩით და აღაგებენ ფიცრებზე. ფიცრები დამღულვრული ბლითუნით ან ნახმით იწყობა ქანდარაზე გასაშრობად და საყენებლად.

ცოტაოდენი შრობისა და ყენების შემდეგ (8—10 წუთი), ფიცრები იწყობა ლუმელის პირში საბოლოოდ გასაშრობად.



გამოცხობა. როდესაც ბლითუნა ან ნახში ვაშრება, მას გად-
მოაბრუნებენ, ზედაპირით ქვევით ალაგებენ სპეციალურ რკინის ნიწ-
ბებზე და დებენ ღუნელში გამოსაცხობად. ბლითუნას გამოცხობა
გრძელდება 8—10 წუთი, ხოლო ნახმის—5 წუთი.

ღუმელის ტემპერატურა ბლითუნასათვის 300—350 გრადუსია,
ნახმისათვის კი უფრო დაბალი. ნახმისათვის კარგი იქნება გამოვი-
ყენოთ ღუმელი მსხვილი ბლითის გამოცხობის შემდეგ, როდესაც მი-
სი ტემპერატურა უდრის 220—250°.

ბლითუნას და ნახმის ცალკეული ხარისხების გამოყვანა.

1. უბრალო ბლითუნას ცომი: უბრალო ბლითუნას დიამეტრი
უდრის 7—9 სანტიმეტრს, სისქე დაახლოვებით 1.5 სანტ. და წონა
კი 30 გრამს; მოყვარულთა ბლითუნა—დიამეტრი 10 სანტ., სისქე
—1.5 სანტ. წონა—25 გრამი.

2. უბრალო ცომი წმინდა ნახმისათვის: უბრალო ნახში კეთ-
დება დიამეტრით 5 სანტ., სისქით 0,71 სანტ., წონით 7 გრამი.

უბრალო ნახმებს ამზადებენ ხაშხაშით და კვლიავით.

ნახმისათვის ხაშხაშის ან კვლიავის მისაცემად, ცომის ლავაშს,
სანამ მას ზოლებად დაჭრიდენ დაასველებენ წყლით და მოაყრიან
ხაშხაშს ან კვლიავს და ხელის გულით ჩატენიან ცომში თესლს. ასე-
თივე წესით დაამუშავებენ ლავაშის მეორე გვერდს.

3. ნაზუქი ბლითუნას ცომი: ა) ნაზუქი ბლითუნა შეიძლება
იყოს მსხვილი და წვრილი. წვრილი ბლითუნას ზომა შემდეგია: დია-
მეტრი 7—9 სანტ., სისქე 2.0 სანტ., წონა 30 გრ., მსხვილი ბლი-
თუნა ორჯერ უფრო დიდია; ბ) ნაზუქი ბლითის დიამეტრი—10
სანტიმეტრი, სისქე 4 სანტ. და წონა 100 გრამია.

4. შაქრიანი ბლითუნას ცომი: შაქრიანი ბლითუნას (ხაშხა-
შიანი ან წმინდა) დიამეტრი უდრის 8 სანტ., სისქე 1.5 სანტ., წონა
20—22 გრ.

ხილიან ბლითუნას, ნუშიანს, ვანილიანს, ვარდიანს ყენების
წინ აძლევენ მოგრძო ფორმას. მათი ზომები შემდეგია: სიგრძე—
10 სანტ., განი 5 სანტ., სისქე 1.5 სანტ., წონა 25 გრამი.



ი ნ ს ტ რ უ ჯ ც ი ა

ქვავის პურის დამზადებისა კანგაცლილი ქვავის ფქვილიდან

პური კანგაცლილი ქვავის ფქვილიდან მზადდება საფუარი-ნ სალუარზე ხაშით ან უხაშოთ.

პური შეიძლება იყოს ფორმისა და ქვედის, ფორმის ერთი პურის წონა უნდა იყოს არა უმეტეს 2,5 კილოგრამისა, ხოლო ფსკერული პურის წონა არა უმეტეს 3 კილოგრამისა.

ფსკერული პურისათვის ცომი მზადდება უფრო მაგარი კონსისტენციის ვიდრე ფორმის პურისათვის.

პურის დამზადება ხაშით

1. საერთო რეცეპტურა:

კანგაცლილი ქვავის ფქვილი	100 კგრ.
მარილი	1.5 „
საფუარი (სალუარში)	0.06 „
საქმელი ზეთი	0.15 „

სულ ნედლეული 101.71 კგრ.

შპა ნაწარმის მინიმალური გამოსავალი წონის მიხედვით:

ა) ფორმის პურისათვის 148—149

ბ) ფსკერული პურისათვის 145—146

შენიშვნა: 1. რეცეპტურაში ნაჩვენები საფუარი მიღის სალუარის განაზღვრებაზე.

2. საქმელი ზეთი 0.15 კგრ. რაოდენობით იხმარება ფორმების წასასმელად.



ა) ხალუარის მომზადება.

სალუარი შეიძლება მომზადებული იქნას სხვადასხვა წესით. ხაშის მომზადების ყველაზე უფრო მარტივი წესი შემდეგია:

12 ლიტრა წყალში, რომლის ტემპერატურაც უდრის 33—34° ხსნიან 60 გრამ დაწნეხილ საფუარს, რის შემდეგაც უმატებენ 12 კილოგრამ კანგაცილილ ქვავის ფქვილს, კარგად აურევენ და ღვამენ ასაფუებლად 20—24 საათის განმავლობაში.

ამ დროის გასვლის შემდეგ სალუარი შეიძლება გამოყენებული იქნეს ხაშის მოსამზადებლად. ეს ნორმები აღებულია 100 კილოგრამი ფქვილის ანგარიშით.

გამოყვანილ სალუარზე მუშაობენ რამდენიმე დღე, შემდეგ კი ის უნდა განახლდეს.

სალუარის განახლება წარმოებს ზაფხულობით არა ნაკლებ 5 დღის ვადისა და ზამთრობით თითოეულ 10 დღეში.

ბ) ხაშის მოსამზადებლად საჭიროა:

- ფქვილი 60 კგრ.
- წყალი 45—50 ლიტრი
- სალუარი 20—25 კლგ.
- ფუების დრო 3—3,5 საათი
- ხაშის დაწყებითი ტემპერატურა უნდა იყოს 28°—29° C.
- საზღვრითი სიმკვავე (ფუვილის შემდეგ)—7

გ) ცომის მომზადება.

- ფქვილი 40 კლგ.
- წყალი 20—25 ლიტრ.
- მარილი 1,5 კლგ.
- ფუების ხანგრძლივობა 1—1,5 საათი
- ცომის დაწყებითი ტემპერატურა 29—30° C.
- საზღვრითი სიმკვავე (ფუვილის შემდეგ)—8,5—9.

შენიშვნა: 1. წყლის რაოდენობა დახუსტებული უნდა იქნეს ფქვილის წყალშესრუტვის უნარიანობის მიხედვით.

2. ცომის უხაშო წესით დამზადების შემთხვევაში საღუარი ორჯერ მეტი უნდა დამზადდეს (40—45 კლგ.). ცომის ფუტბის დრო დიდდება 2—2,5 საათამდე.

ცომის გამოყვანა.

იმის შემდეგ, როცა ცომი შხადაა, იწყებენ მის გამოყვანას.

ა) ფორმის პურის გამოყვანა.

ცომის ყუთთან მიიტანებენ ფორმებს, რომლებიც წინასწარ გასუთთავებული და ზეთ-წასმული უნდა იყოს. მუშა გამოზომავს „თვალით“ ცომის საჭირო ნაჭერს და ჩაუშვებს მას რკინის ფორმაში.

ჩადებული ცომის ზედაპირი კარგად გასწორდება ხელით და წიესმება წყალი.

ასეთი წესით დაყალიბებული პურის ნაჭრები ღუმელში შედებამდე იდგმება საყენებლად სპეციალურად ამისათვის დამზადებულ ფიცარნაგებზე. ფორმების იატაკზე დადგმა უფიცარნაგით აკრძალულია. საკმაო ყენების შემდეგ წარმოებს ღუმელში შედგმა.

ბ) ფსკერული პურის გამოყვანა.

ფსკერული პურის გამოყვანა შესდგება უმთავრესად ცომის ნაჭრების სწორ და კარგ მოგუნდავებაში.

მოგუნდავება აუზჯობესებს პურის გარეგნულ შესხედულებას, მისი ფორაონობა უფრო თანაბარი ხდება, მოგუნდავებული პურის მოცულობა მატულობს და გულის ელასტიურობა უზჯობესდება. სწორი მოგუნდავების დროს ცომის ნაჭერს, ხელის გულის და თითების სწრაფი და სხარტი მოძრაობით, აძლევენ გლუვი ბირთვის ფორმას.

მოგუნდავებულ ცომს დებენ წიბურით ზევით სპეციალურ ხის ჯამებში, რკინის მრგვალ ფორმებში, ან მრგვალ დაწულ კალათებში (უკანასკნელებს უნდა ჩაეფინოს ფსკერზე 350×350 მილიმ. ტილო) და აწყობენ საყენებლად.

როგორც ფორმის ისე ფსევრული ვაფორმებული ცომის ყენება გრძელდება 25—30 წუთი სადგომის ტემპერატურის, ცომის სიმწიფისა და კონსისტენციის მიხედვით.

ლუმელში ჩასმა და გამოცხობა.

ფსევრული პურის გამოცხობის დროს შეყენებული ცომის ნაჭრებს დამხმარე მუშა ვადმოამხობს ნიჩაბზე და ოსტატი სვამს მას ლუმელში. ლუმელში შედების წინ ცომის ნაჭერს წაუცხებენ წინასწარ დამზადებულ წყალში შედღებებულ ფქვილს.

ცომის ცალკე ნაჭრების უკეთ და უფრო თანაბრად გაცხელებისათვის და პურის გაგლეჯის, მიტყლეტის და მის ზედაპირზე ბზარების თაფიდან ასაცილებლად ცომს ლუმელში აწყობენ ერზმანთისაგან 3—5 სანტ. დაშორებით.

ფორმის და ფსევრული პურის გამოცხობა წარმოებს ლუმელში 245—260° C. ტემპერატურაზე და გრძელდება 65—70 წუთი.

ლუმელში ზედმეტი ორთქლის დაგროვების ასაცილებლად (რაც აუარესებს პურის გარეგნულ შეხედულებას) პურის ცხობა პირველი 10—15წუთის განმავლობაში წარმოებს ღია სასულეებით, ხოლო დანარჩენი დრო სასულეები დახურულია.

გამომცხვარ პურს, მისთვის პეწისა და კანის სირბილის მისაცემად ლუმელიდან გამოღების დროს უსვამენ წყალს.

მზა ფორმის და ფსევრულ პურებს ლუმელიდან გამოღების შემდეგ აწყობენ ფიცარნაგებზე პურის საცხობის ექსპედიციაში ძირითედად ფენად.

ერთი საათის შენახვის შემდეგ, ვაცივებული პური შეიძლება დაეწყოს გვერდზე.

შენიშვნა: ლუმელიდან ფორმისა და ფსევრული პურის გამოღების დროს, რომ დამხმარე მუშამ ხელი არ დაიწვას, მას უნდა ეცეას ხელგაჯი.

გამომცხვარი პური უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებას:

პურის ზედაპირი—უნდა იყოს გლუვი, მსხვილი ბზარებისა და გამსკლარი ადგილების გარეშე.

ფერო—თანაბარი მიხაკისფერი, ან მუქი მიხაკისფერი.

კანის სიხვე:



ა) ფორმისა და ქვედური პურის ზედა კანი არა უსქესი 4 მილიმეტრისა.

ბ) ძირა კანი ქვედური პურისათვის არა უსქესი 4 მილიმეტრისა.

გ) ძირა კანი ფორმის პურისათვის არა უსქესი 3 მილიმეტრისა.

გულის ტენიანობა — არა უმეტეს 48%-სა

სიმჟავე — არა უმეტეს 11-სა.

ფოროვნობა — არა ნაკლებ 48%-სა.

ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

ჭვავის 65% გამოსავლის ფქვილიდან დიკის და მინსკის პურის
დამზადებაზე.

პური დიკის ფქვილიდან.

დიკის ფქვილი იმით განირჩევა უბრალო ჭვავის ფქვილიდან, რომ მასში თითქმის სრულიად არაა დარჩენილი მარცვლის კანი, ვინაიდან დაფქვის დროს მისი 35% გამოიცრება როგორც ქატო, ამიტომ დიკის ფქვილს ეწოდება აგრეთვე 65%-იანი გამოსავლის ფქვილი.

ფქვილის მიღების შემდეგ პურის მცხობელმა ჯერ უნდა შეამოწმოს მისი ხარისხი (გემოს, სუნის, ფერის და კბილებზე წკატუნის მიხედვით).

თუ პურის დამუშავება დიკის ფქვილიდან პურის საცხობში წარმოებს პირველად, მაშინ უმჯობესია ვაკეთდეს საცდელი გამოცხობა. ამისათვის საჭიროა 2 კილოგრამი ფქვილი აირიოს ერთ ლიტრა წყალში, რომელშიაც გახსნილია 200—300 გრამი საღუარი. ცომის ტემპერატურა უნდა იყოს 28—29 გრადუსი. ცომი გულდასმით უნდა აიზილოს ემალირებულ ან თიხის ჭურჭელში და გაიაროს 1,5—2 საათის ფუვილი. შემდეგ მას დებენ ჩვეულებრივ რკინის ფორმაში ან აგუნდავენ ბირთვად (თუ უნდათ მიიღონ ფსკერული პური), ნორმალური ყენების შემდეგ პურს სვამენ ღუმელში.

პურის მცხობელმა გულდასმით უნდა დააკვირდეს ფუების პროცესს, რომ გაიგოს აღებული ფქვილის თვისებები, გაიგოს თუ როგორი უნდა იყოს წყლის ტემპერატურა, რომელშიაც ეს ფქვილი აზილეს, რამდენ ხანს გრძელდება ფუების პროცესი და ა. შ.

მხოლოდ ასეთი საცდელი გამოცხობის შემდეგ შეუძლია მას დაიწყოს პურის საჭირო რაოდენობის გამომუშავება. ამავე დროს მან აუცილებლად უნდა გაერას მთელი ფქვილი, რომ ცომში არ მოყვეს რაიმე გარეშე სავნები.

გამოცხობის რეცეპტურა ასი კილოგრამი ფქვილიდან: შხადდება ნახევარსაღლუაო, შემდეგ საღლური და, ბოლოს ცომი. ეღებენ 2—3 კილოგრამ მცავე ცომს ან საღლარს, ხსნიან მას 3 ლიტრა წყალში, ჩაყრიან მასში 3 კილოგრამ ფქვილს და გულდასმით აურევენ. ამის შემდეგ მას სქლად წააყრიან ფქვილს, რომ ცომში არ გაიკეთოს კანი.

ნახევარსაღლური ვაივლის დაახლოვებით 4 ს. ფუვილს 27—29° ტემპერატურაზე, როდესაც საღლური შეისრუტავს ფქვილის უმეტეს ნაწილს და მისი ზედაპირი ფოროკანი გახდება—შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი მზადაა.

ნახევარსაღლურს უმატებენ 30 ლიტრა წყალს, კარგად აურევენ და დააყრიან 42—43 კილოგრამ ფქვილს. მას ზელენ მანამდე, სანამ დაიშლებოდეს კომრები, შემდეგ გადაუსვამენ თავს, დააყრიან ფქვილს და სტოვებენ ვასაფუფებლად.

საღლური ფუვის დაახლოვებით 4 საათი 28—30° ტემპერატურაზე. მისი მზადყოფნის ნიშნები იგივეა, რაც ნახევარსაღლურისავეთის.

მას უმატებენ 1,3—1,5 კილოგრამ მარცხს, რომელიც გახსნილია 3 ლიტრა წყალში, დაახლოვებენ კიდევ 22 ლიტრა წყალს, კარგად აურევენ და ჩააყრიან 54 კილოგრამ ფქვილს. ამის შემდეგ ცომს ზელენ. ის ფუვის 50—55 წუთი 29—30°-ს ტემპერატურაზე. შემდეგ ცომს კრიან 2—3 კვრ. ნაჭრებად, აგუნდავებენ მას, თუ გამოცხობია ფსკერული პური, ან დებენ ფორმებში, თუ გამოცხობია ყორმის პური.

ცომს აყენებენ ფიცარნაგებზე ფორმებში ან, თუ უნდა გამოაცხონ ფსკერული პური, ფქვილმოყრილ ფიცრებზე. ყენება გრძელდება 25—30 წუთი.

დიკის ფქვილიდან დამზადებული პური ისევე ცხება, როგორც უბრალო ქვავის ფქვილიდან დამზადებული პური 75—80 წუთის განმავლობაში 275—280°-ის ტემპერატურაზე. ღუმელიდან გამოღებულ პურს უცხებენ წყალს და დებენ გასაგრძელებლად.

ანაირი წესით მიღებულ პურს ეწოდება დიკის პური. თავისი გარეგნული შეხედულებითა და გემოთი ის არ ჩამოუფარდება 85%-ან ფქვილიდან გამოცხვარ ხორბლის პურს.

მანსკის პური.

იმავე დიკის ფქვილიდან შეიძლება კიდევ უფრო გემრიელი — მანსკის პურის გამოცხობა. ის განსხვავდება უბრალო დიკის პური-საგან იმით, რომ ცომი მზადდება მისთვის უფრო სქელი.



დიკის პურის გამოცხობის დროს ფქვილის თითოეული 100 კილოგრამი იხსნება 60 ლიტრა წყალში, ხოლო მინსკის პურის დამზადების დროს 50—55 ლიტრა წყალში.

მინსკის პური ცხევა მხოლოდ შესკრული, ცომის ნაქრების და გუნდაების დროს მის შეიძლება მოეკაროს ცოტაოდენი კვლიავი. ხოლო ყენების დროს უსათუოდ უნდა წავსვას წყალი. მინსკის პურის დამზადების პროცესის მთავარ გარჩევა უბრალო დიკის პურისაგან იმაში მდგომარეობს, რომ მინსკის პური ცხევა არა ერთ ჯერად არამედ ორჯერ—შებრაკვით.

მინსკის პურის შეხრაკვა წარმოება 10—12 წუთის განმავლობაში, როდესაც ღუმელში ცალკე პურებს სვამენ 7—8 სანტიმეტრის დაცილებით, ხოლო ღუმელის ტემპერატურა უდრის 300—310 გრადუსს.

შებრაკვის შემდეგ ღუმელიდან გამოღებულ პურებს ჩხვლეტენ მსხვილი ნემსებით (რომ კანი არ აძერეს) და იმწამსვე სვამენ მეორე ღუმელში (რომლის ტემპერატურაც უდრის 210—230 გრადუსს) 80—85 წუთით.

შემდეგ პურებს გამოიღებენ ღუმელიდან და უსვამენ თხელ კარტოფილის ფქვილის ბუბკოს ან წყალს. შეხრაკული პური ღუმელის გარე შეიძლება დარჩეს არა უმეტეს 10—12 წუთისა.

შებრაკული პურის გამოღებას და ღუმელში ჩასმას უნდა აწარმოებდენ დიდი სიფრთხილით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ პურის მურკლი.

თუ პურის საცხობს არ მოეპოვება ორი ღუმელი, შეიძლება ვისარგებლოთ ერთითაც. ამ შემთხვევაში ღუმელს აცხვლებენ 300—310 გრადუსამდე და ხრაკავენ პურის პირველ პარტიას (დაახლოვ. მთელი რაოდენობის 60 პროცენტს), 10—12 წუთის შემდეგ შეხრაკულ პარტია პურს გამოიღებენ და ჩასვამენ ღუმელში დანარჩენ ნაწილს.

მეორე პარტია პურის შეხრაკვის შემდეგ, პურებს ღუმელში შეამჭიდროებენ და მიუმატებენ მას უკვე შეხრაკულ პურებს.



И Н С Т Р У К Ц И Я

по приготовлению булочной мелочи.

Б у л о ч н а я м е л о ч ь

Булочная мелочь большей частью готовится из муки 72% помола (или первого сорта).

Тесто для булочной мелочи готовится обычно опарным способом с внесением „сдобы“. „Сдоба“ вносится в тесто последарной обминки, или при обминке, но не следует вносить их в тесто во время замеса, так как во время брожения теста сахар в большей своей части может быть израсходован на брожение, в силу чего на вкусе хлеба он может слабо отражаться.

Рецептура булочной мелочи:

Муки	100 кгр.
Дрожжей	1 „
Соли	1,5 „
Сахару	6 „
Масла животного	1 „
Маргарина	3 „
Масла растительн.	0,15 „
Яйца шт. кгр.	20/08 „
М а л а	0,5 „
<hr/>	
Итого сырья	113,95

Выход готовой продукции 125 кгр.

Из этого количество идет на:

	Опару	Тесто
Муки	50 кг.	47 кг.
Воды	40 лит.	10-15 лит.
Дрожжей	1 кг.	—
Соли	—	1,5 кг.
Сахара	—	6 „
Масла животного	—	1 „
Яиц для смазки изделий после расстойки	—	20 шт.
Масла раст. для смаз. листов		0,15 кг.

Примечание: Количество дрожжей может быть изменено в зависимости от их качества.

На разделку теста—муки 3 кг., маргарина 3 кг.

Брожение опары длится около 4 часов, при температуре 29—30°. Воду на замес теста берут из расчета, чтобы температура теста была 29—31°. Первую обминку теста рекомендуется делать через 1 час после замеса и тут же внести сдобу.

После внесения сдобы через 30—40 минут произвести вторичную обминку теста. Тесто после полного подхода поступает на разделку.

Ассортимент булочной мелочи может быть широким, различных форм изделий (плюшки, гребешки, подковки с маком, обемные и др.).

Разделяя подковки: готовое тесто выкладывается на крышку тестомесильного ящика или на разделочный стол. От всей массы теста отрезается кусок весом 1,5—2 кг., подкатывается и жгут в виде колбасы толщиной около 75—100 мм., от этого жгута отрываются небольшие куски (110—115 гр.) в зависимости от температуры печи, каждый кусок теста взвешивается на столовых весах. После развеса куски теста подкатываются в круглые шарики. Подкатанным шарикам дается на предварительную расстойку, примерно 3—5 мин. После предварительной расстойки приступают к разделке.

Когда круглые шарики немного расстоятся, берут по два шарика и кладут рядом и скалкой раскатывают их в блинчики продолговатой формы. Раскатанные блинчики ладонью правой руки закатываются, начиная от дальнего конца по направлению к себе в трубку, при этом левой рукой придерживают ближний край. Середина этой прямой трубки получается толще ее концов. Скатанную таким образом трубочку берут обеими руками за концы и укладывая на железный лист сближают эти концы, придавая трубочке форму подковки (железный лист предварительно должен быть очищен и слегка смазан маслом). Таким образом подковки укладываются на листы рядами. Между рядами дается расстояние 3—5 см. В зависимости от размера листа в ширину его укладывается 4—5 рядов.

Листы с подковками ставят для полной расстойки на хоры или шпильки. После расстойки приступают к посадке. Перед посадкой в печь подковки смазываются яичной болтушкой и по-



сынаются немного маком. Посадка производится на листах. Подсобный рабочий ставит листы на лопату и мастер сагает их в печь. В печи подковки сидят обычно около 10 минут, листы с готовыми подковками вынимаются мастером, лопатой, с которой листы снимаются подсобным рабочим (чтобы не обжечь руки рабочий должен надеть рукавицы). Вес подковки в охлажденном виде должен быть 100 гр.

Разделка плюшек. Как и при булочной мелочи от всей массы теста выкинутого на крышку ящика или разделочный стол отрезается кусок 1,5—2 кг, который закатывается в колбасу толщиной в 75—100 мм. Эта колбаса рвется руками на куски весом 110—115 гр. в штуке (для определения точного веса каждый кусок должен проверяться на весах). Когда наберется 12—15 кусков, их смачивают немного растопленным маргарином. Обмащенные куски откладываются в кучку. Затем берут по два куска теста, кладут их рядом и скалкой раскатывают в блинчики продолговатой формы.

Раскатанные блинчики складываются стопками по 12—15 штук и откладываются в сторону. Затем блинчик ладонью правой руки закатывается (начиная от дальнего конца по направлению к себе) в трубочку, при этом левой рукой придерживают ближний край. Трубочка должна быть прямой и ровной. Скатанную таким образом трубочку берут левой рукой за один конец и посередине перегибают ее пополам, правой рукой берут нож и разрезают скатанную трубочку вдоль, оставляя неразрезанными у концов 1—1,5 см. После этого берут ее обеими руками, разворачивают и укладывают на железный лист (железный лист предварительно должен быть очищен и слегка смазан маслом). Плюшки укладываются на лист рядами. Между рядами дается расстояние 3—5 см. В зависимости от размера листа в ширину его укладываются четыре-пять рядов, примерно, по 20—25 штук.

Листы с плюшками ставятся на хоры или шпильки для полной расстойки. После расстойки плюшки смазываются яйечной болтушкой. Остальные процессы работы при посадке и выемке плюшки аналогичны с подковкой. Вес плюшки в охлажденном виде должен быть 100 гр.

Разделка гребешка. От всей массы теста, выкинутого на крышку ящика или на разделочный стол, отрезается кусок в

1,5—2 кгр., который закатывается в колбасу толщиной в 75—100 мм. От колбасы отрываются небольшие куски (110—115 гр.), точность веса каждого куска проверяется взвешиванием на весах. После развеса куски подкатываются в крупные шарики. Подкатанным шарикам дают предварительную расстойку, примерно, 3—4 минуты. После предварительной расстойки приступают к разделке.

Когда крупные шарики немного расстоятся, берут их по два, кладут рядом и скалкой раскатывают в блинчики продолговатой формы. Раскатанные блинчики смазывают расплавленным маргарином. Каждый блинчик складывается вдвое в полоску в продольном направлении, на стиге полоски ножом нарезаются зубцы; длина зубца, примерно 1—1,2 см., ширина 6 мм. Надрезанную полоску берут обеими руками за концы и, укладывая на железный лист, сближают концы, придавая ей форму полуподковы (железный лист предварительно должен быть очищен и слегка смазан маслом). Гребешки укладываются на листы рядами. Между рядами дается расстояние 3—5 см. В зависимости от размера листа в ширину его укладывается 4—5 рядов.

Листы с гребешками ставят на хоры и шпильки для полковой расстойки. После расстойки приступают к посадке. Перед посадкой в печь гребешки смазываются яичной болтушкой и посыпаются немного сахарным песком. Остальные процессы работы при посадке и выемке гребешков аналогичны с подковкой. Вес гребешка в охлажденном виде должен быть 100 гр.

Разделка обсыпных сортов. Прежде, чем приступить к разделке обсыпных сортов, необходимо приготовить мучную крошку.

Мучная крошка готовится следующим образом: берется мука (того сорта, из которого выпекаются изделия) в размере 8—10% от количества муки идущей на изготовление обсыпных сортов, сахара в размере 30% веса от всей муки, идущей на изготовление мучной крошки и растопленное животное масло или маргарин. Все это тщательно размешивается и превращается в крошку. Растопленное масло или маргарин дается в таком количестве, чтобы получить хорошо рассыпчатую крошку.

Разделка. От всей массы теста, выгнутого на крышку ящика или на разделочный стол отрезается кусок 1,5—2 кгр., который закатывается в колбасу толщиной в 75—100 мм. От

этой колбасы отрываются небольшие куски (110—115 гр.), каждый кусок теста взвешивается на столовых весах. После развески куски подкатывают в круглые шарики и слегка сплюсывая, укладывают их рядами на листы. Между рядами дается расстояние 3—5 сан. В зависимости от размера листа в ширину его укладывается четыре-пять рядов.

Листы с обсыпными сортами ставят на хоры или шпильки для полной расстойки. После расстойки приступают к посадке. Перед посадкой в печь, необходимо смазать изделия яичной болтушкой и посыпать мучной крошкой. Остальные процессы работы при посадке и выемке такие-же как и по другим сортам булочной мелочи.



И Н С Т Р У К Ц И Я

по приготовлению французских булок.

Французские булки могут быть приготовлены из муки высшего, первого и второго сортов, развесом в 100 гр. и 200 гр.

По ведению технологического процесса, по способу обработки и выпечки, они аналогичны между собой.

Различие имеется лишь в рецептуре по закладке подсобного сырья (сахар, масло).

Тесто для французских булок готовится опарным способом. Консистенция теста средняя.

Для лучшего выхаживания и брожения теста, необходимо делать не менее двух обминок (сколоток) его. Первую обминку теста лучше всего производить через час после его замеса, а вторую за 15-20 минут до начала работы.

Для примера привожу выработку французских булок из муки 72% помола (первого сорта).

1. Общая рецептура	Высш. сорт	Перв. сорт	Втор. сорт
Мука пшеничная	100 кгр.	100 кгр.	100 кгр.
Дрожжи	1,0 "	1,0 "	1,0 "
Соль	1,5 "	1,5 "	1,5 "
Сахар	6,0 "	5,0 "	3,0 "
Маргарин	2,5 "	2,5 "	—
Масло растительное	0,15 "	0,15 "	0,15 "
Итого сырья	111,15 кгр.	110,15 кгр.	105,65 кгр.
Выход готовых изделий в зависимости от развески	125—128	126—129	126—129

Примечание: 1) Масло растительное в количестве 0,15% расходуется для смазки ящичка при замесе теста.

2. Подсобное сырье (сахар, масло, соль) кладется в готовую опару при замесе теста.

а) Приготовление опары на выпечку булок из 100 кгр муки:

Муки 50 кгр.
Воды 35—38 литров.
Дрожжей 1,0 кгр.
Начальная температура опары . 28—29°C.
Время брожения 3—3,5 ч.

б) Приготовление теста:

Муки . . . 48 кгр.
Воды . . . 17-20 литров.
Соли . . . 1,5 кгр.
Сахара . . 6,0 кгр. (для булок из муки первого сорта).
Маргарина . 2,5 кгр. (для булок из муки высшего и первого сортов).
Начальная температура теста . 29—30°C.
Время брожения 1,5—2 часа.

Примечание: 1) Количество воды уточняется в зависимости от водопоглотительной способности муки.

2) Оставшаяся мука в количестве 2 кгр. расходуется на подсыпку при разделке теста.

3) Сахара и маргарина берется в количестве соответствующем рецептуре для различных сортов муки.

Разделка теста.

Наиболее важные операции в разделке французских булок заключаются в: 1) подкатке кусков теста; 2) их распускании и укладке на доску.

Неправильная подкатка и распускание вылет на внешний вид и качество французских булок, поэтому при их разделке необходимо обращать самое серьезное внимание на эти операции.

Готовое тесто выкидывается из тестомесильного ящика на одну половину его крышки или на разделочный стол, где ему дают полежать 3—5 минут, после чего приступают к его разделке.

На конце крышки ящика или разделочного стола, на котором лежит тесто (по правую сторону) устанавливаются весы для взвешивания кусков теста.

